

დანართი 10-1

საქართველოს
დაქმნების ცხრილი

დანართი 10-1-ii-1

სექტორი:	თევზჭერა
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	საქართველოს მთავრობის დადგენილება N138 „თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ (11 აგვისტო, 2005 წელი).
ღონისძიების მოკლე აღწერა:	თევზჭერის ლიცენზია შეიძლება იქნეს გაცემული მხოლოდ საქართველოს რეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	მეთევზეობის პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებები.

სექტორი:	სოფლის მეურნეობა
ქვესექტორი:	სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობა
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“ (12 ივლისი, 2013 წელი)
ღონისძიების მოკლე აღწერა:	<p>სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მეპაიე შეიძლება იყოს 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე ან/და საქართველოში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის მიერ განხორციელებულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს საპაიო შენატანს.</p> <p>უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან/და სხვა კერძო სამართლის იურიდიული პირს (მათ შორის უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს) აქვს უფლება იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ასოცირებული წევრი იმ პირობით, რომ მას გადახდილი აქვს წევრის შენატანი, ამ კანონის საფუძველზე ან კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.</p> <p>ასოცირებულმა წევრმა შეიძლება მიიღოს მონაწილეობა საერთო კრებაში, მაგრამ მას აქვს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება.</p> <p>ასოცირებულ წევრს უფლება აქვს მიიღოს დივიდენდები გადახდილი საწევრო შენატანიდან; ის შეიძლება იყოს არჩეული სამეთვალყურეო საბჭოს ან გამგეობის წევრად.</p> <p>ასოცირებული წევრი არ შეიძლება იყოს უშუალოდ ჩართული სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ განხორციელებულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.</p>
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	სოფლის მეურნეობის სფეროში თანამშრომლობის პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებები

სექტორი:	სოფლის მეურნეობა
ქვესექტორი:	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვა
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ (21 ივლისი, 2010 წელი).
ღონისძიების მოკლე აღწერა:	<p>სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა შესაძლებელია საქართველოს მოქალაქის მიერ ან საქართველოში რეგისტრირებული კერძო იურიდიული პირის მიერ.</p> <p>საქართველო იტოვებს უფლებას ძალაში დატოვოს ან შეცვალოს მიღებული ზომები ან მიიღოს ნებისმიერი სხვა ზომა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან მიმართებაში.</p>
ღონისძიების მიზანი ან მოტივაცია:	მიწის პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებები.

სექტორი:	ენერგეტიკა
ქვესექტორი:	-
იურიდიული წყარო ან ღონისძიებაზე უფლებამოსილი პირი:	არ არის ინფორმაცია
ღონისძიების მოკლე აღწერა:	საქართველო იტოვებს უფლებას ძალაში დატოვოს ან მიიღოს ნებისმიერი ზომა ენერგეტიკის სექტორთან მიმართებაში.
ღონისძიების მიზეზი ან მოტივაცია:	ენერგეტიკის პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსაზრებები.